სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

ქალ-ვაჟთა სკოლა

## ელენე ლუკას ასულის ზახტაძისა

დ. ხონში

პირველ სექტემბრიდამ ამა 1898 წლისა, ნება-რთვით ბ. კავკასისის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქმნება ოთხ-კლასიან

## საქალებო პროგიმნაზიად

მოსწავლეთა გამოცდა უმცროსს და უფროსს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დამ 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქნება ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის.

თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის ელენე ზახტაძის სახელობაზე.

სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მან. წელიწადში. (15—6)

!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან მცხეთის სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საგარაკოში) საზაფხულო ბაღი

## არმაზი

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი საჭმელ-სასმელი.

ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.

ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,

ცოცხალი თევზები

ყველაფერი იაფად

მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.

(40—34) ე. ჩხარტიშვილი

## წიგნის მაღაზია
## მიხეილ გაჩეჩილაძისა

(იგივე „გლეხის" ამხანაგობისა)

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით

დ. ყვირილაში, ჩუბინიძის სახლში

წიგნებისა და საკანცელარიო ნივთეულობის მაღაზია

მაღაზიაში გვაქვს ყოველგვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვანელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას. ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც ჩვენს გამოცემებს.

მაღაზიასთან გახსნილი გვაქვს წიგნების საკაზმავი სახელოსნო, სადაც მზადდება წიგნები სუფთად, იაფად და სწრაფად.

სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხ. დაეთმობათ ძლიერ დაკლებულ ფასად.

მსურველს შეუძლიანთ მიგვმართოს შემდეგის ადრესით:

Квирилы. Книжный магазинъ М. Гачечиладзе. (15—3)



## „ბავშვების მოკეთის"

შესახებ.



აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჩის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის" რედაქციაში.

წიგნი „ბავშვების მოკეთე" მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადებულია მთავრობის მიერ.

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.—სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.

(50—29) პატივისცემით ალ. ნათაძე.



## მაქსის ცირკი

მიხეილის ქუჩაზე, მადერის მამული

ოთხშაბათს, 26 აგვისტოს

პირველი სადღესასწაულო წარმოდგენა სამს განყოფილებაში.

მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი გიმნასტი ლუიჯი და მოჯირითე პიერი.

გაწვრთნილ ცხენებს გამოიყვანს ცირკის დირექტორის ცოლი მაქსისა

კომიკური და სამასხარო გამოსვლა გამოჩენილის კლოუნის მაქსისა.

დასასრულ გაიმართება ბალეტი

დასაწყისი 8 საათზე

ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა

ფასები 30 კაპ. მოყოლებული 4 მანათამდე.

## კბილის ექიმი

ალექსანდრე სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე

მიხეილის ქუჩა № 32

(30—2)

გამოვიდა და ისყიდება, ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც, ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამისა

## მარინესი

(სურათით)

გამოცემა მოხრილის რ. ზარამიძისა

ფასი ერთი შაური (10—7)

ქ. ქუთაისი

ამ წლის ენკენისთვეში

ყუთაისის სამკითხველოს

ფონდისთვის

გამართული იქნება

## ვაჭრობა-ბაზრობა

დიდის მადლობით მივიღებთ ყოველ-გვარ შემოწირულებას ამ კეთილი საქმისათვის.

(12—11) ელენე ჯინოშვილისა

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავად-

მყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ძ. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ძ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

23 აგვისტო.

**პარიჟი.** „Times“-ი უკმაყოფილებას აცხადებს იმ სახელმწიფოთა გაზეთების წინაამდეგ, რომელნიც ამბობენ იარაღის აყრის პროექტის გამო, რომ საფრანგეთი თანახმა არ იქნება ამ პროექტისა და თუ ეს საქმე არ აღსრულდა, საფრანგეთი იქმნება დამნაშავეო.

**ლონდონი.** გენერალი კიჩინერი დეპეშით იუწყება, რომ ინგლისის ერთმა მცირე გემმა სრულიად გასწმინდა ნილოსის მარჯვენა ნაპირი, გაანადგურა სანაპირო და კუნძულ ტუტის სიმაგრეები და ხელთ ჩაიგდო მტრის იარაღი. ინგლისელებს არაფერი უზარალნიათ.

**ლონდონი.** ინგლისელებმა აიღეს ამდურმანი. ინგლისელებმა დაჰკარგეს—2,000 კაცი, ხოლო დერვიშებმა—8,000 კაცი.

**პარიჟი.** მინისტრებმა გადასწყვიტეს, რომ მთავრობამ არ უნდა იტვირთოს საქმის ხელ-ახლა გადასინჯვის დაწყება, არამედ უნდა ცოუცადოს პარლამენტის სესსიის განახლებას, თუ ქ-ნმა დრეიფუსმა კანონზე დამყარებული თხოვნა არ შემოიტანა საქმის ხელ-ახლა გადასინჯვის შესახებ.

„Matin“-ი ამბობს, რომ სარიენი და ბრისსონი საქმის ხელ-ახლა გადასინჯვის მომხრენი არიანო. სარიენმა შეადგინა თავისი შეხედულება, წარჩინებულ მოხელეთა აზრზე დამყარებული, რომელნიც იმას ამბობენ, რომ ანრის მიერ ჩადენილი სიყალბე ისეთს შემთხვევას შეადგენს, რომელიც წინადვე განსაზღვრულია სისხლის სამართლის გამოძიების კანონით. იურისკონსულტები იმის გამოკვლევაში არიან: ანრის ჩვენება 1894 წლის სასამართლოს წინაშე, იმის შემდეგ რაც გამოაშკარავდა სიყალბე, საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს თუ არა. საზოგადოდ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ბრისონი და კავენიაკი შეთანხმდებიან.

**პარიზი.** კავენიაკმა თანამდებობას თავი გაანება, რადგანაც კაბინეტის უმრავლესობას ვერ მოურიგდა იმის შესახებ—დრეიფუსის საქმე ხელ-ახლა უნდა იქმნას გადასინჯული თუ არა.

24 აგვისტო

**პარიზი.** ხმა დადის, რომ მინისტრები ბიჟე და ტოლლეც თავს ანებებენ სამსახურსაო. ზოგიერთი გაზეთები დაბეჯითებით თხოულობენ, რომ პალატნი იქმნენ მოწვეულნი.

**ქაირი.** კიჩინერი დეპეშით იუწყება, რომ 23 აგვისტოს დილით დერვიშები თავს დაეცნენ ინგლისის ჯარს, მაგრამ დიდად დაზარალებულნი უკუ ქცეულ იქმნენ და ინგლისელებმა ობდურმანი დაიპყრესო. კალიფი გაიქცა და მდევრად ცხენოსანი ჯარი გაჰყვაო.

**პარიზი.** ქ-ნმა დრეიფუსმა მიჰმართა სარიენს და სთხოვა, რომ ჩემის ქმრის საქმე, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების მე-443 მუხ. მესამე პარაგრაფის ძალით, ხელ-ახლად განიხილეთო. მინისტრები არიან მოწვეულნი სათათბიროდ. ხვალ ისინი განიხილავენ ქ-ნ დრეიფუსის თხოვნას.

აქ იმ აზრისანი არიან, რომ კავენიაკის თანამდებობიდან გადადგომას შედეგად ბრისონის კაბინეტის მიერ სამსახურიდგან გასვლა არ მოჰყვებაო.

**ჰანოვერი.** სადღესასწაულო ღვთის მსახურების გარდახდის შემდეგ ვატერლოს სვეტის მოედანზე იმპერატორმა სიტყვა წარმოსთქვა და გაიხსენა, რომ ვატერლოს თუ მოვიგონებთ, ინგლისელები გერმანელების ძმები არიანო. ბოლოს ჯარს მიჰმართა და დასძინა: „ინგლისის ჯარმა ამ რამდენისამე საათის წინად აფრიკაში გაცილებით ძლიერს მტერზე გაიმარჯვა. შესძახეთ ჩემთან ერთად „ვაშა“ ინგლისის დედოფლის პატივსაცემლად.

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

უმაღლესი ბრძანება. ხელმწიფე იმპერატორმა, 27-ს რიცხვს წარსული მკათათვისას, უმაღლესად ინება დამტკიცება უწმიდესის სინოდის უყვლადუქვეშევრდომილესის მოხსენებისა იმის შესახებ, რათა ქართლ-კახეთის ეპარქიის ქვაბთახევის მიძანების მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი კირიონი იქმნეს ალავერდის ეპისკოპოსად, ქართლ-კახეთის მეორე ქორ-ეპისკოპოსად, ისე-კი, რომ სახელდება და კურთხევა მისი ეპისკოპოსად მოხდენილ იქმნეს ქ. ტფილისში.

მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელის ბრძანება, უწმიდესის უმართებულესის სინოდიდამ, 25 თებერვლიდამ 1898 წლ. პირველის ნომრით.

ბრძანებისამებრ მისის იმპერატორებითი უდიდებულესობისა უწმიდესმა სინოდმა მოისმინეს: წინადადება სინოდალურის ობერ-პროკურორისა იმის შესახებ, რათა იქმნეს მიღებული ზომები, რომ მონასტრებში დებულობდნენ მორჩილებს მკაცრის სიფრთხილით და მათის ვინაობის ჯეროვანის გამორკვევის შემდეგ და, ამ საკითხის გამოკვლევის შემდეგ, ბრძანეს: მიეწეროს მოსკოვის და ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურს კანტორებს და საეპარქიო მღვდელ-მთავრებს, თანახმად უწმიდესის სინოდის ბრძანებათა 21 მკათათვიდამ 1804 წლისა, 23 აპრილიდამ და 30 მკათათვიდამ 1841 წლ. და 9 სექტემბრიდამ 1873 წლ. მიღებულ იქმნენ ნამდვილი ზომები, რათა მონასტრების მორჩილად მიიღებოდნენ ისეთი გვამები, რომელთ კეთილ ზნეობა საიმედოდ იქნება ცნობილი მონასტერთა წინამძღვრებისაგან, და რომ მორჩილნი, შენიშნული სამონასტრო მთავრობისაგან სამონაზნო წოდების არა შესაფერს ყოფა-ქცევაში, უკეთუ ისინი ჩარიცხული არ არიან მონაზონთა ძმობაში, დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნენ მონასტრებიდან,—და უკეთუ ეს შენიშნულნი ჩარიცხულნი არიან მონასტრის ძმობაში, მათ შესახებ ხმარებულ იქმნენ გასასწორებელი და დასასჯელი ზომები, დაწესებული სასულიერო უწყებაში მოქმედ დებულებათა მიერ, რაის შესახებ, ჯეროვან სახელმძღვანელოდ, გაეგზავნოსთ სინოდალურს კანტორებს და საეპარქიო მღვდელ-მთავრებს ბრძანებანი. ნამდვილზე ხელი მოაწერეს: ობერ-სეკრეტარი თევდორე ჩერნოვსკიმ, მდივანმა რუნკევიჩმა.

# ახალი ამბავი

*** მთავარ-მართებელს მოელიან ტფილისში დღეს, 26 აგვისტოს, საღამოზე.

*** **ვაჭრის ოინები.** გუშინდელ „ტფილ. ფურცელში“ დაბეჭდილია წერილი ვიღაც ტ—სა, რომელიც ამხელს მეტად თავხედურ საქციელს ვაჭრის მატინოვისას, რომელიც პუშკინის ქუჩაზეა. თურმე ამ ვაჭარს ერთი მანათიანი ბოთლი ღვინო ორ მანათად მიუყიდნია და როცა მყიდველს უთქვამს ან ფული დამიბრუნე ან ღვინო წაიღეო, მოვაჭრეს ღვინო გამოურთმევია და ფულიც არ დაუბრუნებია.

*** **სკოლა მეფე ერეკლეს სახელობაზე.** სემინარიის აწინდელი რექტორის არქიმანდრიტის გერმოგენის თაოსნობით ხარფუხში დამდეგის სექტემბრის პირველიდან გაიხსნება ორ კლასიანი საეკლესიო სამრევლო სკოლა ვაჟებისათვის მეფე ერეკლე მეორის სახელობაზე. სკოლის დამაარსებელს მამა გერმოგენს აზრადა ჰქონია იმ ადგილას, სადაც მეფე გმირმა მოიგერა გამძვინვარებული მტერი ალა-მაჰმად-ხანი,—კრწანისში დაარსოს ისეთი ძეგლი, რომელიც შესაფერი იქნებოდა დიდებულის მეფისა—ესე იგი სწავლა-განათლებისა და სარწმუნოების ტაძარი—სკოლა. სკოლის შენობისათვის სინოდს უკვე გაუღია 5,000 მან., ხოლო მასწავლებლებზე ხარჯს გასწევს ყოველ წლივ ქართული საეპარქიო მმართველობა.

*** **საქალებო სკოლა ხარფუხში.** არსებული ვაჟების სამრევლო სკოლა წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან სექტემბრიდან გადაკეთდება თურმე საქალებო სკოლად.

*** **ს. მამათი** (გურია). მრევლის თხოვნა. მამათის წმ. მოციქულის იაკობის შტატის ეკლესიის მრევლთა შორის სოფ. მამათშივე ნახევარი ვერსის სიშორეზე მამათის ეკლესიიდან ურევიან ოც კომლამდე მცხოვრებნი, რომელნიც მიწერილნი არიან ახალსოფლის ღვთის-მშობლის ეკლესიაზე (შვიდი ვერსია). თუმცა ისინი ირიცხებიან ახალ-სოფლის მრევლად, მაგრამ წირვა-ლოცვაზე როგორც ჩვენ, ისე ესენიც ჩვენთან ერთად დადიან მამათის ეკკლესიაზე. აგრეთვე ყოველს გასაჭირზე თითქმის ჩვენი მღვდელი უსრულებს მათ მღვდელ-მოქმედებას, ვინაიდან მათს მღვდელს და ეკკლესიას ვერ სწვდებიან. გარდა სიშორისა და ცუდი გზებისა, უმთავრესი მიზეზია მდინარე სუფსა, რომელზედაც მიმოსვლა ყოვლად მოუხერხებელია, ნამეტურ ზამთრობით და გაზაფხულობით ნამქრობის დროს. ამ მდინარეზე არ ეწყობა სიდიდის გამო ხიდი და მსწრაფლ მიმდინარეობისა გამო არ არის ბორანი. ვერ წარმოიდგენს კაცი, რამდენი დაბრკოლება და გასაჭირი ადგიათ ზემო აღწერილ მიზეზებისა გამო. ვინ არ იცის, თუ რამდენად საჭიროა სოფლის მდაბიო ხალხისათვის ახლო ეკკლესია და მღვდელი. დღემდის როგორც იყო და არ იყო იოლად

მიდიოდნენ აქაურის მღვდლების საშუალებით, ეხლა-კი ყველამ შეიგნო, თუ რამდენად სასარგებლოა ახლო თავისი საკუთარი ეკკლესია და მღვდელი, მით უმეტეს, რომ ყოველი ქრისტიანი არ უნდა აკლდებოდეს ყოველ კვირა-უქმე დღეებში წირვა-ლოცვას, ხშირად უნდა ისმენდეს თავის მოძღვრისაგან სწავლა-დარიგებას ქრისტიანობრივ სარწმუნოებაზე, ამეებს ყველას მოკლებულნი არიან ესენი...

დიდი ხანია მონდომებულნი იყვნენ, რომ მამათში გადმორიცხულიყვნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ, რადგან ბევრი ამისთანა ნაკლულევანებები აქამდის სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ბნელით იყო მოცული, დღეს-კი ყველას ბედმა გაუღიმა, ყველანი დაიმედებულნი არიან, რომ კანონიერი თხოვნით იქმნებიან დაკმაყოფილებულნი.

ამ დღეებში, როგორც გავიგე, უკვე მიურთმევიათ თხოვნა მამათში მცხოვრებ მრევლთ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრესათვის, რომლითაც თხოულობენ მამათში შერიცხვას სამუდამოდ მრევლათ. იმედია მათი თხოვნა არ დარჩება უყურადღებოდ.

მამათელი მრევლთაგანი

*** **სურამი.** აქაური წარმოდგენის გამო. „ცნობის ფურცლის“ 610 №-ში ბ. ვანო თეატრის მატიანეს სწერს, მაგრამ, სამწუხაროდ. სიმართლეს მოკლებულია.

დავიწყებ თავიდან. ბ. ვანო ბრძანებს: წარმოადგინეს სურამის უფასო სამკითხველოს სასარგებლოთო,—ეს ასე არაა. აგერ აფიშა წინ გვიდევს და შიგ ვერაფერი გვიპოვნია, თუ სამკითხველოს სასარგებლოთ იყო წარმოდგენა. რაც შეეხება მას, რომ წარმომდგენლებმა თავიანთი საკუთარი შემოსავალი სამკითხველოს შესწირეს, ეს სულ სხვაა, ბევრი რამაც შეეძლოთ შეეწირათ სამკითხველოსთვის. შეწირულებაზე პატივცემულ მსახიობთ უნდა ვუმადლოდეთ გულუხვობის გამოჩენას, რისთვისაც სამკითხველოს გამგეობა თავის დროზე ბეჭვდით მადლობას გამოუცხადებს.

შემდეგ ბ. მემატიანე ბრძანებს: სწორედ არ გვესმის, რა იყო მიზეზი, რომ თერთმეტ საათის შემდეგ მუსიკამ არ დაუკრაო. ეს საიდან გამოიგონა ბ. ვანომ? მუსიკა ორ საათამდის უკრავდა, მართალია მუსიკამ თანახმად ხელშეკრულებისა თერთმეტ საათზე შესწყვიტა დაკვრა, მაგრამ როდესაც რამდენიმე მანეთი მისცეს მემუსიკეებს, მათ ორ საათამდის, ვინემ ხალხი ცეკვას გაათავებდა, უკრეს.

ბ. მემატიანე მართალს ამბობს, რომ უთავბოლობა იყოვო, მაგრამ აქ გამგეობას არაფერი ბრალი ედება, რადგან „მარიამობიდგან“ იმდენი მთვრალი ხალხი მოაწყდა წარმოდგენას, რომ როგორც უნდა მოქცეულიყო გამგე, მაინც ვერას გახდებოდა, მით უფრო რომ წარმოდგენის დროს უქონლობის გამო პოლიცია ვერ დაესწრო.

ბ. მემატიანე ბრძანებს, წარმოდგენის გამგეს ალ. ნათაძეს უნდა ჰყოლიყო მომხრეები და თანაშემწეებიო. ეს სიმართლეს მოკლებულია, ბ. ნათაძეს ძალიან ბევრი ჰყავდა მომხრეები და შემწეები. მაგ. გულმხურვალე მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენაში და დიდი დახმარება გაუწიეს ბ. ნათაძეს დიდათ პატივცემულ ინჟინერ მოატის სახლობამ, ქქ. აბაზაძისამ, სავანელისამ, ქორიძისამ, ბბ. ზიატხანმა-გამომძიებელმა, ვ. მურვანიშვილმა, აბაზაძემ, გაბარაშვილმა, ვვარავამ და სხვებმა.

პირველი მაგალითია სურამში ასეთი საყოველთაო მოქმედება და ღირს-შესანიშნავია აქაური ქალების შრომა ამ საქმეში, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან.

ბ. ვანო ბრძანებს წარმოდგენა სუსტობდაო, სულაც არა, ძალიან კარგად წარმოადგინეს და ხალხიც კმაყოფილი დარჩა.

საკვირველია ბ. ვანო რამ აიძულა, რომ სიმართლისთვის არ გადაეხვია და გულწრფელად გაეზიარებინა მკითხველებისათვის ყოველივე გარემოება წარმოდგენის შესახებ. ვგონებ, ამის მეტს არას მოითხოვდა მატიანეს მოვალეობა და ჩვენც არას ვიტყოდით, რომ მემატიანესთან არ გვქონოდა საქმე.

მ. ლიხელი

*** **ჩოხატაური.** ანგარიშის გამოცხადება. „ცნობის ფურცლის“ 599 ნომერში ფოსტა წავიკითხე, რომლიდგან შემდეგი ცნობა გამოვიტანე: ბ. ალ. სიხარულიძე უნდა თხოულობდეს—19 ივლისს საქველ მოქმედო წარმოდგენამ რამდენი შემოსავალი დასტოვაო; მიკვირს ღმერთმანი რამ აიძულა, რომ გაზეთის საშუალებით თხოულობს ამის შეტყობას, როცა პირადად შეეძლო მოემართნა. ამითი მითომდა მან დიდი გულ-კეთილობა გამოიჩინა სამკითხველოსადმი. ღმერთმა ქნას, საქმითაც ის ყოფილიყოს, რაც სიტყვითაა. მე შემეძლო გაზეთის საშუალებითაც მეჩვენებინა ანგარიში, მაგრამ დიდ სირცხვილად მიმაჩნდა ასეთ მდიდარ დაბა სოფელს ასე ცოტა შემოსავალი. ეხლა კი სირცხვილი თქვენი იყოს ბ. ალ. სიხარულიძევ, თუ გამოსაცხადებლად არ ღირდეს: იმ ღამეს სკოლაში გაიყიდა 3 მან. 10 კ. ბილეთი, ნიკიტა ბერიძემ გადმომცა 1 მან. 80 კ., ნესტორ ჩხიკვაძემ 1 მან. 60 კ., მომრიგებელ მოსამართლე 1 მან. 60 კ., ექიმმა დ. ერისთავმა 1 მ. სულ 9 მან. 10 *). ხარჯი 8 მან. 63 კაპ., დარჩა 47 კაპიკი.

ანტონ ჟღენტი

*** **ახალ-სოფელი** (გურია). უკან ჩამორჩენა. ს. ახალ-სოფელი ეკუთვნის გურიანთის საზოგადოებას. ოც-და-ათი წლის წინედ ეს სოფელი დაბურული იყო ხშირის ტყით და შეადგენდა ნადირთა ბუდეს. იმ დროს ამ ტყეს „სატახია“ ერქვა. ეს ტყე ეკუთვნოდა ჯუმათის მონასტერს; გამგებელმა მონასტრისამ ჯუმათელმა ეს ტყე გააჩეხია და აქ ნელ-ნელა მოშენდა სოფელი. 1887 წლამდის ეს სოფელი ეკუთვნოდა ჯუმათის საზოგადოებას, რომელსაც ჰყოფდა მდინარე სუფსა; ამ წყლის მიზეზით მცხოვრებლები მიირიცხენ გურიანთის საზოგადოებაზე. ამ საზოგადოებამ „ახალ-სოფელს“, როგორც შენაძენს, მტრულად მოჰკიდა ხელი: მუშაში გამოიწვია, სასოფლო და სახელმწიფო ბეგარა ამათ მეტი შეაწერეს. ამაების წყალობით იმათ ადრე დაეტყოთ დალი და დღეს აქაურები უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი.

ამ სოფელში სკოლა არ არის, თუმცაღა ამას წინეთ აქ ეკკლესიასთან სამრევლო სკოლა იყო გახსნილი მთავრობის ნება-რთვით, მაგრამ ერთი წლის არსებობის შემდეგ იგი ცამა ჩაყლაპა თუ მიწამ არ იციან. რომ იკითხოთ სკოლა რა უყავითო—გიპასუხებენ: „პატრონი მხოლოდ ერთი მღვდლის მეტი არა გვყავდა, ბევრს ეჩხუბენ ჩვენს სკოლას და როგორც იყო შთანთქესო“!

ისე მოაბეზრა თავი აქაურმა მოხელეებმა მცხოვრებლებს, რომ თითქმის ნახევარის მეტი (სოფელში 80 კომლი ირიცხებოდა) ქალაქ ოზურგეთს შეეხიზნენ, დანარჩენებს მაინც უარესი დღე ადგიათ.

წელიწადი არ გავა ისე, რომ აქ მამასახლისი არ გამოიცვალოს. ყველა მამასახლისებმა საწყალი გლეხებისაგან აღებული ფულები სამსახურიდან გასვლის დროს საგზლათ გაიტაცეს. ერთი ნამამასახლისარი და მისი „სბორჩიკები“ სამართალშია მიცემული სახელმწიფო ფულის გაფლანგვისათვის. ასე და ამ გვარათ საწყალ გლეხებს ერთხელ გადახდევინებულ ფულს მეორე და მესამე ხელ ახდევინებენ...

მგზავრი

*) საბუთებს თან ვარდგენ რედაქციაში. ავტ.

## რედაქციისაგან

**ყვირილაში.** ალექ. არაბიძეს. თქვენი პასუხი ბ. სეფისპირელისადმი ვერ იბეჭდება. საჭიროა უფრო მეტი საბუთები და რაც შეიძლება ნაკლები ლანძღვა.

**ოზურგეთში** ფიჩხისჯვარელს. თქვენი სასამართლოს მატიანე არ იბეჭდება, რადგან საზოგადო ინტერესს მოკლებულია.

**ქვიშხეთში** დავიწყებულს. თქვენი წერილის დაბეჭდვა მოუხერხებელია.

## ყურმოკრული საუბარი

ქკვიანი ძაღლი.—საკვირველია, რა ჭკვიანი ძაღლი გყოლიათ, ეუბნებოდა ერთი ქალი მონადირეს.

— ჭკვიანი და ეგრე!—თავ-მომწონედ წამოიძახა მონადირემ, - და ასე წარმოიდგინეთ, ჩემზე უფრო ჭკვიანია!

— მეც ეგრე მგონია!

—

სანახევრო-საზიაროდ. ერთს ახალგაზდა ქვრივს სახლზე ევაჭრება ახალგაზდავე კაცი.

— თუ მომყიდით, სწორედ დიდათ მასიამოვნებთ.

— თუ მართლა ეგრე გნებავთ, წინ რაღა უდგას! ჩვენ შეგვიძლიან ეგ სახლი საზიაროდ-სანახევროდ ვიქონიოთ!—ეუბნება ახალგაზდა ქვრივი, რომელსაც გათხოვება მოსდომებია.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 28 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, ამა გამგეობის თანდასწრებით, დანიშნულია საჯაროდ იჯარის გაცემა იმისი, თუ ვინ იკისრებს ცხენების საკვების მომზადებას, სახელდობრ: 70 ათასი ფუთი ქერისა, 60 ათასი ფუთი თივისა და 30 ათასი ფუთ. ბზისა. მსურველთ შეუძლიანთ პირობანი განიხილონ გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე.

(4—2)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ რადგანაც 10 აგვისტოს სა-

ჯარო ვაჭრობა მაღლების დაჭრა-ამოწყვეტისა და დახოცილ პირუტყვთა გაზიდვის საქმის იჯარით აღების შესახებ არ მოსდა, ეს ვაჭრობა დანიშნულია 27 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათზედ

პირობების გასინჯვა მსურველთ შეუძლიანთ გამგეობაში დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (3—2).


# ეფედრა

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი ამ წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული და ყვავილიანი გირვანქა 5 მან., ½ გირვანქა 2 მან. 50 კაპ.

ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., ½ გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფიმის ძე ეფრემოვი, ქალაქ ბუზულუკში, სამარის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლობის წერილები ეფედრის კარგს თვისებასა და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава кузмича)

главный складъ эфедры Григорія Ефимовича **Ефремова**, г. Бузулукъ, Самарской губерніи.

(30—18)



ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ლეფიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

—

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

—

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

**Музыкальное депо**

**Б. М. Мириманіана**

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—43)



## საზღვევი საზოგადოება „იაკორი“

**უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში**

ტფილისის უმთავრესი სააგენტო დებულობს

**დაზღვევას ცეცხლისაგან**

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

**დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა**

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას

**დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა**

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შეხატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

**Страховое Общество „ЯКОРЬ“**

**Высочайше** утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

**Принимаетъ:** 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева**

на углу Эриванской пл. д. кн. Циціанова № 2. (50—42)



**Изданіе газеты «Казбекъ»,**

пріостоновленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ возобновляется со **2**-го сентября 1898 г.

## Принимается подписка

на общественную, политическую и литературную газету

## „КАЗБЕКЪ“

**Условія подписки:**

Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . . **6** руб.

Съ пересылкою иногороднимъ » » » . . . **7** руб.

Съ сентября по 31 декабря 1898 г. какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ **два** рубля.

**Плата за объявленія:**

На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. ) со строки

На 4-й » „ 1 » 10 к. „ » 5 к. ) петита

Отдѣлный нумеръ 5 коп.

Подписиваться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и до конца года. Подписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. «Казбекъ» у издателя С. I. Казарова. (12—2)



ახლად გახსნილი

# სტამბა „ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

✦✦ სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია ✦✦

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

**ВОВНОВЬ ОТКРЫТОЙ**

## ТИПОГРАФІИ „Цнобисъ Пурцели“

В. Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европеискихъ языкахъ

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**



## ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. „**УРБЭНЪ**“

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—33)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Августа 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი **ვ. გუნია**